რა შანსი აქვს რუსეთის ხელახლა შექმნისთვის?

WHAT ARE THE ODDS OF RECREATING RUSSIA?

ზურაბ ჭიაბერაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Zurab Tchiaberashvili
Ilia State University, Professor

In his essay, Zurab Tchiaberashvili discusses the prospects of Russia's democratisation and its preconditions or obstacles. There is a growing body of scholarly literature addressing the question of what contributes to the development of democracy or what hinders its progress. Hence, the essay links some normative assertions to the Russian case, elaborating on the significance of institutionalised economy, civic and political societies, the rule of law, and state bureaucracy.

However, the primary intent of this essay is to discuss whether Russia's current socioeconomic disposition can serve as a solid ground for its future democratisation.

Nowadays, the most critical variable when discussing the prospects of democratisation in the Russian context is the enduring war with Ukraine; therefore, this matter is essential in the paper, underlining its impacts on Russia's socioeconomic and cultural circumstances.

According to the essay's hypothesis, the defeat of an authoritarian regime in a war can be the impetus for democratisation; yet, in addition, (1) the civil and political readiness of society for transformation and (2) particular economic prerequisites are correspondingly essential. Russia's economic growth and, to some extent, state modernisation began in the 2000s, although for decades, modernisation has strengthened not democracy but authoritarianism. That is why the democratisation process needs socio-cultural prerequisites and economic growth.

Zurab Tchiaberashvili concludes that Russia's prospective democratisation can be impeded due to three causes:

- By the time Russia's defeat in the war is declared, Russia's economy will most probably decline. The author stresses that returning to the 1991 territorial status quo may not be a sufficient precondition for lifting the Western sanctions imposed against Russia, and sanctions will continue functioning after the war ends.
- As for the cultural sphere, today's educational and especially healthcare system standing cannot contribute to advancing Russia's democratisation process.
- Neither can we be optimistic concerning consolidating Russian society around liberal-democratic ideas. As the war in Ukraine prolongs and more and more liberal-minded people hunted by the Kremlin leave Russia, there will probably be a lack of human capital for bottom-up transformations.

საკითხის დასმა

რუსეთის დემოკრატიზაცია და საერთაშორისო ლიბერალური წესრიგის მხარდამჭერ სახელმწიფოდ გარდაქმნა ევროპის კონტინენტზე გრძელვადიანი მშვიდობის (perpetual peace) მიღწევის წინაპირობაა.

უკრაინელი ხალხის თავგანწირული ბრძოლის, დასავლეთის მიერ უკრაინისათვის აღმოჩენილი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერისა და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე, სრულიად რეალისტური ჩანს სცენარი, როდესაც

- უკრაინის შეიარაღებული ძალები გადიან 1991 წლის უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე და კიევი იბრუნებს კონტროლს უკრაინის მთელ ტერიტორიაზე,
- კრემლი, პუტინით თუ პუტინის გარეშე, მზადაა, შეწყვიტოს ომი უკრაინასთან, გაიყვანოს ჯარები მოლდოვიდან, საქართველოდან, სირიიდან,
- რუსეთი დამარცხებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად რუსეთში არის აღქმა, რომ რუსეთი დამარცხდა.

რა ხდება ამ დროს რუსეთში? აძლევს თუ არა ომში დამარცხება ბიძგს რუსეთის დემოკრატიზაციას?

დემოკრატიზაციის თეორიიდან

ამ სტატიის მიზანია, შევაფასოთ, რამდენად ქმნის რუსეთის დღევანდელი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა მისი დემოკრატიზაციის წინაპირობას. თუ ქმედითი სახელმწიფო უკვე არსებობს, დემოკრატიზაციის თეორიის კლასიკოსები ხუან ლინცი და ალფრედ სტეპანი ინსტიტუციონალიზებული ეკონომიკური საზოგადოების არსებობას დემოკრატიზაციის ერთ-ერთ ძირითად, მეხუთე წინაპირობად ასახელებენ (Linz and Stepan 1996, 7). დანარჩენი 4 წინაპირობაა, არსებობდეს თავისუფალი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო გარემო; შედარებით ავტონომიური და წონიანი პოლიტიკური საზოგადოება; კანონის უზენაესობა, რაც მოქალაქის უფლებების დაცვისა და მისი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარანტიებს ქმნის; სახელმწიფო ბიუროკრატია, რომელსაც ახალი დემოკრატიული მთავრობა გამოიყენებს.

ჩვენი ამჟამინდელი ანალიზის ფოკუსს მიღმაა, მაგრამ აღნიშვნის ღირსია, რომ რუსეთი მრავალეთნიკური[1] სახელმწიფოა. ლინზი და სტეპანი მიუთითებენ, რომ თუ სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოკვეთილი იდენტობის მქონე („გაღვიძებული“ awakened) ეთნოსები არსებობენ, დემოკრატიზაციის პროცესში მაღალი ალბათობით ჩნდება კონფლიქტი, რომელიც აძნელებს დემოკრატიზაციას, თუმცა სრულად შეუძლებელს არ ხდის მას. თუ ფრთხილად წარიმართება პროცესი, დემოკრატიის კონსოლიდაცია ჯერ კიდევ შესაძლებელია, ოღონდ შედეგი მხოლოდ მრავალეროვნული სახელმწიფო შეიძლება იყოს.

თუ კონფლიქტი შეიარაღებულ სახეს იღებს, დემოკრატიის კონსოლიდაციის ალბათობა კიდევ უფრო იკლებს, თუ მთლად არ ნულდება. ასეთ დროს ან სახელმწიფოს ტერი-

1 ლინცი და სტეპანი იყენებენ ტერმინს „nation“, მაგრამ ვარჩიე ამ კონტექსტში „ეთნოსი“ გამომეყენებინა.

ტორიული მთლიანობა დაირღვევა და დემოკრატიული განვითარების შანსი ნარჩუნდება, ან სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ნარჩუნდება, მაგრამ ისეთი რეპრესიული მექანიზმების ხარჯზე, რომ დემოკრატიული ტრანზიცია შეუძლებელი ხდება (Linz and Stepan 1996, 36).

ამერიკელი ისტორიკოსი და სტალინის ბიოგრაფი სტივენ კოტკინი ამბობს (Kotkin 2016), რომ რუსეთის ყველა დიდი მმართველის – პეტრე პირველი იქნებოდა ეს თუ სტალინი – მთავარი პრობლემა რუსეთის მრავალეთნიკურობიდან და მრავალკონფესიურობიდან მომდინარე სისუსტის გაცნობიერება იყო. კოტკინის აზრით, ისინი რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების სხვა გზას – ქვეყნის შიგნით რეპრესიული აპარატის ამუშავების, ხოლო ქვეყნის გარეთ სამხედრო ექსპანსიის წარმოების გარდა – უბრალოდ ვერ ხედავდნენ. პუტინის შემთხვევაში ამ გამოცდილებას გორბაჩოვის „პერესტროიკის" შედეგი ემატება.

ამ ისტორიული ცნობიერების გათვალისწინებით, ნაკლებსავარაუდოა, დემოკრატიზაცია კრემლის, პუტინით თუ პუტინის გარეშე, არჩევანი იყოს. ამ ნაბიჯისკენ იგი ჩვენი ჰიპოთეზის წანამძღვარმა – ომში დამარცხებამ – შეიძლება აიძულოს. ლინზი და სტეპანი ასე აღწერენ ავტორიტარული რეჟიმის ომში დამარცხებით გამოწვეული დემოკრატიული ტრანზიციის საწყის პოზიციას:[2] „ომში დამარცხებამ ან ომით გამოწვეულმა კოლაფსმა შეიძლება ბიძგი მისცეს დემოკრატიულ ტრანზიციას ისე, რომ წინა არადემოკრატიულ რეჟიმს სხვა არჩევანი აღარც ჰქონეს; ოღონდ ამისათვის სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოაგდოებებში უნდა არსებობდნენ დემოკრატიული ძალები, რომლებიც არჩევნებით ხელისუფლების ცვლილების გზას ადგანან"(Linz and Stepan 1996, 57).

თუ ომში დამარცხებამ ავტორიტარული რეჟიმის დემოკრატიულ ტრანზიციას ბიძგი მისცა, პროცესის წარმატების ეკონომიკური წინაპირობები ასე გამოიყურება: „თუ ეკონომიკა შერეული და ქმედითი იყო, შესაძლოა, არც იყოს საჭირო მყისიერი ცვლილებები, რომ დემოკრატიის ტრანზიციას და კონსოლიდაციას შეეწყოს ხელი. რა შემდგომი რეფორმებია სასურველი და საჭირო, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესის ფარგლებში უნდა გაირკვეს; ეს შიძლება იყო მეტი სოციალიაზაციაც და მეტი პრივატიზაციაც, ბაზრის მეტი სოციალური და/ან ეკონომიკური რეგულირებაც და ნაკლებიც"(Linz and Stepan 1996, 64).

აღსანიშნავია, რომ რუსეთში პრივატიზაცია[3] უკვე მოხდა და გარკვეული საბაზრო რეფორმებიც გატარდა 2000-იან წლებში, როდესაც მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრი გერმან გრეფი და ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი წარმართავდნენ. რეფორმები არ შეხებია ნავთობისა და გაზის სექტორს, რომელიც რუსეთის ავტორიტარული რეჟიმის საყრდენად და ერთ-ერთ პოლიტიკურ იარაღად რჩება. თუკი უკრაინის ომში დამარცხებამ რუსეთში ცვლილებები გამოიწვია, ამ ცვლილებების დემოკრატიულ კალაპოტში გადასაგდებად ენერგეტიკის სფეროს რადიკალური რეფორმა იქნება საჭირო.

უკრაინასთან ომში რუსეთის დამარცხებას გლობალური ეკონომიკის წამყვანი აქტორების სანქციები, საერთაშორისო ვაჭრობიდან სანქციებით გამოწვეული იზოლაცია და ეკონომიკური დასუსტება სჭირდება. იმავდროულად, ამ დასუსტებამ უნდა აიძულოს კრემლი, არა მხოლოდ შეწყვიტოს ომი, არამედ დასთანხმდეს ქვეყნის დემოკრატიზაციასაც.

2 აქ მოცემულ ცხრილში ლინზი და სტეპანი საწყის რეჟიმებად იღებენ ავტორიტარულს, ტოტალიტარულს, პოსტ-ტოტალიტარულსა და სულთანურს. მე რუსეთს ავტორიტარულ რეჟიმად განვიხილავ.

3 ამ პრივატიზაციის მეთოდები და შედეგები ამ სტატიის ფოკუსს მიღმაა.

ფერნანდო ლიმონჯიმ და ადამ პრჟევორსკიმ სამხრეთ ამერიკის ქვეყნები შეისწავლეს 1945-1988 წლებში და აღმოაჩინეს, რომ ალბათობა, არადემოკრატიულმა რეჟიმებმა სამი წლის განმავლობაში მიყოლებით ეკონომიკურ ვარდნას გაუძლონ და გადარჩნენ, მხოლოდ 33%-ია.[4] დემოკრატიული რეჟიმის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 73%-ია. თუ ეკონომიკური ვარდნა მიყოლებით 5 წლის განმავლობაში გრძელდება, მას ვერცერთი არადემოკრატიული რეჟიმი უძლებს, დემოკრატიული რეჟიმის პირობებში კი ეს მაჩვენებელი 50%-ია (Limongi and Przeworski 1993 cited in Linz and Stepan 1996).

ლიმონჯისა და პრჟევორსკის ეს მიგნება პოზიტიურ მოლოდინს ქმნის, თუ საერთშორისო ეკონომიკური სანქციების ეფექტი მართლაც რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის ეკონომიკის უარყოფითი ზრდა იქნება. მეორე მხრივ, იგივე მიგნებები გვაფიქრებინებს, რომ რაც უფრო იზოლირებული და ეკონომიკურად დასუსტებული შეხვდება რუსეთი ავტორიტარული რეჟიმის იძულებას ცვლილებებისკენ, მით უფრო გართულდება ამ ცვლილებების დემოკრატიულ კალაპოტში მოქცევა და, მით უმეტეს, წარმატება (აქ ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ამ არგუმენტით სანქციები, რომელიც პასუხია რუსეთის ბარბაროსულ ქმედებაზე უკრაინაში, უნდა გაუქმდეს ან შესუსტდეს – ზ.ჭ.).

ეკონომიკური განვითარება და დემოკრატიზაცია

ადამ პრჟევორსკი ამტკიცებს, რომ „არ არის მართალი, თითქოს ეკონომიკური განვითარება ავითარებს დემოკრატიას: ნაკლებსავარაუდოა, დემოკრატია ღარიბ ქვეყანაში აღმოცენდეს; დემოკრატია უფრო საშუალო შემოსავლების ქვეყნებში ჩნდება; ასევე დაბალია დემოკრატიის ალბათობა, თუ დიქტატურა ერთ სულზე მაღალი შემოსავლის ქვეყანაში არსებობს." მისი თქმით, იგივე ეხება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელსაც (Przeworski 2004).

პრეჟევორსკის მიხედვით, დიქტატურის მოწყვლადობა გარკვეულწილად იზრდება, როდესაც შემოსავლების არათანაბარი განაწილება დიდია და შემოსავალი მოსახლეობის მცირე ნაწილშია კონცენტრირებული. სხვა ფაქტორები – პოლიტიკური წარსული, ეთნოლინგვისტური მრავალფეროვნება, დომინანტი რელიგია, კოლონიური წარსული – ნაკლებად იძლევა რაიმე პროგნოზის გაკეთების საშუალებას.

პრჟევორსკი ასევე გამოყოფს დემოკრატიული რეჟიმების სიცოცხლისუნარიანობაზე მოქმედ 9 ფაქტორს, რომელთაგან ჩვენი მსჯელობისათვის 5-ს აღვნიშნავ (დანარჩენი 4 ფაქტორი პოლიტიკურ-რელიგიურ-კულტურულია, რომლებიც ჩვენი მსჯელობის ფოკუსს მიღმაა) (ibid.):

- დემოკრატია არასოდეს, არც მეორე მსოფლიო ომამდე, დაცემულა ქვეყანაში, სადაც ერთ სულზე შემოსავალი იყო $6,055-ზე მაღალი (1975 წლის აშშ დოლარებში) – ესაა არგენტინის მაჩვენებელი 1975 წელს. მომდევნო წელს არგენტინაში ძალაუფლება სამხედრო ხუნტამ აიღო ხელში;

4 სტივენ კოტკინის თქმით, კოლექტივიზაციის პირველ წლებში, 1928-33 წლების გვალვების გამო, საბჭოთა რეჟიმი სერიოზული წნეხის ქვეშ არმოჩნდა.

- განათლება, განსაკუთრებით სამუშაო ძალის საშუალოსტატისტიკური წევრის მიერ სკოლაში გატარებული წლების ოდენობა, ზრდის ალბათობას, რომ დემოკრატია გადარჩეს. თუმცა შემოსავალი და განათლება მკვეთრად ურთიერთდაკავშირებულია, პრჟევორსკის მონაცემებით, დემოკრატიის გადარჩენაზე მათი გავლენა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია: შემოსავლის გავლენა უფრო დიდია;
- დემოკრატიის გადარჩენაზე ეკონომიკური ზრდის გავლენა არ იკვეთება;
- იმ რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების მონაცემები შედარებადია, დემოკრატიის გადარჩენის შანსი იზრდება, რაც უფრო დაბალია ჯინის კოეფიციენტი;
- მიზეზი, რის გამოც ძველი დემოკრატიები უძლებენ დროის გამოცდას, ისაა, რომ ისინი თანდათან გამდიდრდნენ.

დემოკრატის განვითარება/შენარჩუნებისათვის კეთილდღეობის ზრდის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე სეიმურ მარტინ ლიპსეტი აღნიშნავს:

„გაზრდილი კეთილდღეობა არა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივადაა დაკავშირებული დემოკრატიის განვითარებასთან, რადგან ცვლის მშრომელთა სოციალურ პირობებს, არამედ იგი გავლენას ახდენს საშუალო კლასის პოლიტიკურ როლზეც შემდეგი აზრით: იგი ცვლის სტრატიფიკაციის სტრუქტურის ფორმას – წვეტიანი პირამიდა დაბალი კლასის ფართო ბაზისით გარდაიქმნება მზარდი საშუალო კლასის ალმასის ფორმად. დიდი საშუალო ფენა თამაშობს შემაკავებელ როლს კონფლიქტის მართვაში, რადგან იგი ახალისებს ზომიერ და დემოკრატიულ პარტიებს და სჯის ექსტრემისტულ ჯგუფებს“ (Lipset 1959, 83).

ლიპსეტი კეთილდღეობის ინდექსებად ასახელებს ერთ სულზე შემოსავალს; რამდენი მოქალაქე მოდის ერთ ექიმზე; რამდენი მოქალაქე მოდის ერთ ავტომობილზე; ტელეფონთა რაოდენობა 1000 ადამიანზე; რადიოს რაოდენობა 1000 ადამიანზე; გაზეთის ტირაჟი 1000 ადამიანზე. მისი ცხრილი ავლენს ამ მაჩვენებლების კორელაციას ევროპულ და ინგლისურენოვან სტაბილურ დემოკრატიებთან, ევროპულ და ინგლისურენოვან არასტაბილურ დემოკრატიებთან და დიქტატურებთან, ლათინური ამერიკის დემოკრატიებთან და არასტაბილურ დიქტატურებთან; და ლათინური ამერიკის სტაბილურ დიქტატურებთან.

A. Indices of Wealth

Means	Per Capita Income[2] in $	Thousands of Persons Per Doctor[3]	Persons Per Motor Vehicle[4]	Telephones Per 1.000 Persons[5]	Radios Per 1.000 Persons[6]	Newspaper Copies Per 1.000 Persons[7]
European and English-speaking Stable Democracies	695	.86	17	205	350	341
European and English-speaking Unstable Democracies and Dictatorships	308	1.4	143	58	160	167

Latin American Democracies and Unstable Dictatorships	171	2.1	99	25	85	102
Latin American Stable Dictatorships	119	4.4	274	10	48	43
Ranges						
European Stable Damocracies	420– 1,453	.7– 1.2	3– 62	43– 400	160– 995	242– 570
European Dictstorships	128– 482	.6– 4	10– 538	7– 196	42– 307	46– 390
Latin American Democracies	112– 346	.8– 3.3	31– 174	12–58	38– 148	51– 233
Latin American Stable Dictatorships	40– 331	1.0– 10.8	38– 428	1– 24	4– 154	4– 111

ცხრილი ავლენს, რომ რაც უფრო მაღალია ერთ სულზე შემოსავალი, რაც უფრო ნაკლები მოქალაქე მოდის ერთ ექიმზე, რაც უფრო ნაკლები მოქალაქე მოდის ერთ ავტომობილზე, რაც უფრო მეტი ტელეფონია 1000 ადამიანზე, რაც უფრო მეტი რადიოა 1000 ადამიანზე, რაც უფრო მეტი გაზეთის ეგზემპლარი[5] იყიდება 1000 ადამიანზე, მით უფრო დემოკრატიულია ქვეყანა.

აქ კითხვა ჩნდება: დემოკრატია უწყობს ხელს ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, თუ ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონეა საჭირო იმისათვის, რომ დემოკრატიამ ფეხი მოიკიდოს? ადამ პრჟევორსკის მსგავსად, გარკვეული ავტორები ეჭვქვეშ აყენებენ ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტ მნიშვნელობას იმისთვის, რომ დემოკრატიამ ფეხი მოიკიდოს. მათ მაგალითად მოჰყავთ ის, რომ შეერთებული შტატები 1820 წელს, საფრანგეთი 1870 წელს, შვედეთი 1890 წელს ღარიბი ქვეყნები იყვნენ.[6]

იმის მიუხედავად, რომ დევიდ აცემოღლუმ და ჯეიმს რობინსონმა ეჭვქვეშ დააყენეს ლიპსეტის მოსაზრება, ისინიც აღიარებენ, რომ „დემოკრატიასა და რეპრესიულ რეჟიმს შორის არჩევანს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს – ელიტის შემოსავლის წყარო. … დემოკრატიზაცია უფრო სავარაუდოა შედარებით ინდუსტრიულ საზოგადოებაში, სადაც ელიტა ფლობს მნიშვნელოვან ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალს, ვიდრე უფრო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, სადაც ელიტების ინვესტიცია, ძირითადად, მიწაშია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატია უფრო სავარაუდოა, როდესაც ელიტის წევრები მრეწველები არიან და არა მიწის მესაკუთრეები“ (Acemoglu and Robinson 2006, 32).

ფენგი და ზაკი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონეა საჭირო იმისათვის, რომ დემოკრატიამ ფეხი მოიკიდოს. „ემპირიული მასალა მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატიული გარდაქმნა უფრო სავარაუდოა, მოხდეს ქვეყანაში, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე შედარებით მაღალია, შემოსავლების უთანასწორობა შედარებით დაბალია, მოქალაქეები განათლებულები არიან და არსებობს დემოკრატიული გამოცდილების ისტორია“(Feng and Zak 1999).

5 მნიშვნელოვანი ინდიკატორია რობერტ პატნემისათვის. იხ. რობერტ პატნემი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021.

6 იხ. Daron Acemoglu, Simon Johnson and James E. Robinson, « The colonial origins of comparative development: an empirical investigation », The American Economic Review, vol 91, december 2001, pp 1369-140; ასევე, Daron Acemoglu, Simon Johnson, and James A. Robinson, “Reversal of Fortune: Geography and Development in the Making of the Modern World Income Distribution,” Quarterly Journal of Economics vol 117, no 4, 2002 1231-1294.

ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების დემოკრატიული ტრანზიციის მაგალითების შედარება (Fink-Hafner and Hafner-Fink 2009):[7]

The Determinans of the Success of Transitions to Democracy

DANICA FINK-HAFNER & MITJA HAFNER-FINK
EUROPE-ASIA STUDIES VoL. 61, No.9, NOVEMBER 2009, 1603-1625

TABLE 1

SOCIAO-ECONOMIC CIRCUMSTANCE IN THE INVESTIGATED COUNTRIES (FINK-HAĆEK 2000, 2001)

Unit	*parliamentary system*	*Semi-presidential system*	*Inflation 1993*	*Inflation 1996*	*Inflation 1999*	*Unemployment 1996*	*GDP growth 1993*	*GDP growth 1996*	*GDP growth 1999*	*Level of annual migraion per 1.000 inhablants 1995*	*Level of annual migraion per 1.000 inhablants 1999*
Czoch Republic	x		20.9	8.8	2.1	3.9	0.1	4.8	-0.2	1.0	0.9
Slovakia	x		23.0	5.8	10.7	11.1	-3.7	66	1.9	0.6	0.5
Hungary	x		22.4	23.5	10.0	9.9	-0.6	1.3	4.5	1.5	0.7
Slovenia	x		31.9	9.9	6.1	7.3	2.8	3.3	4.9	3.1	2.5
Bosnia & Herzegovina	x		362.0	-25.0	5.0	72.5	-27.0	28.0	8.6	-67.3	42.3
Poland		x	35.3	19.9	7.3	12.3	3.8	6.1	4.1	-0.5	-0.5
Croatia		x	1,517.5	3.5	4.2	16.4	-8.0	6.0	-0.3	-29.3	2.6
Serbia		x	*22.000.00	na	na	***50.0	**-30.8	5.9	na	19.7	-12.8
Montenegro		x	na	na	na	na	**-30.8	5.9	na	12.5	-19.7
Macedonia		x	338.6	2.6	-0.4	38.8	-1.2	1.2	2.7	-5.1	2.2

იმის მიუხედავად, რომ ამ სტატიის მიზანია, შევაფასოთ, რამდენად ქმნის რუსეთის დღევანდელი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა მისი დემოკრატიზაციის წინაპირობას, უნდა გავიხსენოთ, რომ არსებობს მიდგომაც, რომელიც დემოკრატიის განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვნად სოციო-კულტურულ ფაქტორებს მიიჩნევს. რობერტ პატნემის, რობერტ ლეონარდისა და რაფაელა ნანეტის 23-წლიანმა კვლევამ იტალიაში – რომლის მიზანი იყო გარკვევა, რა განაპირობებდა იტალიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის რეგიონების რეგიონული მთვარობების განსხვავებულ ინსტიტუციურ ქმედითობას – აჩვენა, რომ ეკონომიკური ფაქტორების მიღმა უფრო მნიშვნელოვანია სამოქალაქო კულტურა (პატმენი 2021).

7 ეს მონაცემები მნიშვნელოვანია კიდევ ერთი განზომილებით – ესაა ემიგრაცია. იხ. ამ თემაზე Ivan Krastev, Stephen Holmes, The Light That Failed: Why the West Is Losing the Fight for Democracy, 2018.

Figure 4.2
Economic Modernity and Institutional Performance



Economic Modernity
Correlation: *r =.77*

Figure 4.5
The Civic Community and Institutional Performance



Civic Community
Correlation: *r =.92*

სწორედ რუსეთის ისტორიულ გამოცდილებასა და სოციო-კულტურულ კონტექსტს ეყრდნობა რუსეთში ყოფილი ელჩი, მაიკლ მაკფოლი, როდესაც წერს: „რუსეთის ეკონომიკამ დაიწყო ზრდა და საზოგადოებამ კვლავ დაიწყო მოდერნიზაცია 2000-იან წლებში, მაგრამ დემოკრატიზაციის განახლებისთვის საჭირო თანმხლები ბიძგის გარეშე. ამ ათწლეულის განმავლობაში მოდერნიზაციამ გაამყარა ავტოკრატია და არ შეასუსტა იგი. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-თი, ისევე როგორც განათლებისა და ურბანიზაციის მაჩვენებლებით, რუსეთი დღეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და განვითარებული საზოგადოება, რომელიც არ იმართება დემოკრატიული ინსტიტუტებით“ (McFaul 2018, 315). იგი უთითებს, რომ 1600 წლიდან მოყოლებული, რუსეთი უფრო დიდი ხნის განმავლობაში ავტოკრატია იყო, ვიდრე დემოკრატია.

ინგლეჰარტისა და ველცელის მსოფლიო კულტურულ რუკაზე (2020) რუსეთს თითქოს არ აქვს ცუდი სასტარტო პირობები, რომ უკრაინასთან ომში დამარცხებამ ბიძგი მისცეს რუსეთის დემოკრატიზაციას: იგი ისევე სეკულარულია, როგორც ავსტრია და თვითგამოხატვა რუსეთში ისეთივე დონეზეა, როგორც სამხრეთ კორეაში. ისინი წერენ: „ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაღალი დონის მიღწევა მხოლოდ არ იძლევა დემოკრატიას. უბრალოდ, მას გრძელვადიან პერსპექტივაში მოაქვს სოციალური და კულტურული ცვლილებები, რაც დემოკრატიზაციას უფრო სავარაუდოს ხდის. … იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც 1970-იდან 1990 წლამდე დემოკრატიზაცია განიცადეს, დემოკრატია გადარჩა ყველა ქვეყანაში, რომელმაც ტრანზიცია დაიწყო მაშინ, როდესაც იგი ეკონომიკური დონით იმავე ან უფრო მაღალ ეკონომიკურ დონეზე იყო, ვიდრე არგენტინაა დღეს; იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ტრანზიცია დაიწყეს, როდესაც ისინი ამ დონეს ქვემოთ იყვნენ, დემოკრატიას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მხოლოდ რვა წელი ჰქონდა“ (Inglehart and Welzel 2009, 38).

რუსეთის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს, რუსეთში ერთ სულზე შემოსავალი არათუ 2009 წელს, არამედ არც სხვა წლებში ყოფილა არგენტინის შესაბამისი მაჩვენებლის ტოლი ან მასზე მაღალი. ყველაზე ახლოს რუსეთი ამ მაჩვენებელთან იყო 2019 წელს, კორონაპანდემიის დაწყებამდე.



აღსანიშნავია, რომ 2015 წლის დოლარებში, ერთ სულზე შემოსავალი რუსეთში 2019 წელს საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნების ტოლფარდია (მარცხენა გრაფიკი), თუმცა მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით (PPP) ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებში (მარჯვენა გრაფიკი). საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებთან შედარება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ ჯგუფში ბევრია გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანა, რომელიც წარმატებულ ტრანზიციასა და დემოკრატიის უკუსვლას შორის მერყეობს.





მაიკლ მაკფოლი ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სახეზეა, ეს ავტომატურად დემოკრატიზაციას ბიძგს არ აძლევს. იგი წერს: „საბაზრო რეფორმების, ავტოკრატიული მმართველობის განმტკიცებისა და დასავლეთთან ურთიერთობის შერეული დღის წესრიგის გატარებისას პუტინი პოპულარული იყო არა იმდენად ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის გამო. იმდროინდელი კვლევის მონაცემებიდან აშკარა არაა, რომ საზოგადოებას ჰქონდა მოთხოვნა ავტოკრატიაზე, მაგრამ რუსეთის საზოგადოებამ პუტინს დაუფასა ეკონომიკის გაუმჯობესება. ავტოკრატიასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის კორელაციამ ბევრს აფიქრებინა, რომ ინდივიდუალური კეთილდღეობის ზრდა პოლიტიკური უფლებების დაკარგვად ღირდა“ (McFaul 2018, 254).

იმ საკითხის გადასაწყვეტად, რა ეკონომიკური საფუძველი არსებობს რუსეთის დემოკრატიზაციისთვის, თუკი ამის შესაძლებლობა გაჩნდა (განვეყენოთ სოციო-კულტურულ ფაქტორებს), ჩვენი საზომი იქნება „არგენტინის თამასა“, რუსეთი აშკარად ვერ სწვდება

მას. სოციო-კულტურული ფაქტორები კი მხოლოდ აუარესებენ რუსეთის დემოკრატიული ტრანზიციის პერსპექტივას.

ფენგისა და ზაკის ზემოთ მოყვანილი არგუმენტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ვნახოთ, რამდენს ხარჯავს რუსეთი სოციალური მიმართულებით – განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა. რუსეთი მშპ-ს დაახლოებით იმავე წილს ხარჯავს განათლებაზე, რასაც ზედა გრაფიკზე მოცემული ქვეყნების ჯგუფები, მაგრამ ჯანდაცვაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა და აქ რუსეთი საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების დონეზეა. მეორე მხრივ, რუსეთს ყველა ამ ჯგუფთან შედარებით გაცილებით მეტს ხარჯავს თავდაცვა/შეიარაღებაზე (იხ. გრაფიკი მარცხნივ). თუმცა მშპ-ს თავდაცვაზე დახარჯული წილი რუსეთმა მნიშვნელოვნად შეამცირა საბჭოთა კავშირთან შედარებით, ამ თვალსაზრისით, იგი მაინც რჩება საბჭოთა კავშირის სრულფასოვან მემკვიდრედ (იხ. გრაფიკი მარჯვნივ (Linz and Stepan 1996)).



Fig.15.1. Defense Expenditures as a Percentage of GDP/GNP, 1983-1989. *Sources:* The 1989 date for the Soviet Union ar from Dimitri Steinber, "The Soviet Defense Burden: Estimating Hidden Costs". *Soviet Studies* 44, no. 2 (1992); 258. All other data are for 1984 (except Uruguay, which is for 1983) and are drawn from Stockholm international Peace Research Institute. *World Armaments and Disarmemant: SIRRI Yearbook, 1984* (Stockholm: SIRRI), 129-31, and *1986,* PP. 243-47

რუსეთი თითქოს განათლებაში კარგად დებს ფულს, მაგრამ კვალიფიკაცია დაბალია და, შესაბამისად, დაბალია პროდუქტულობაც (შეიარაღებული ძალები რუსეთის სამუშაო ძალის 2%-ია, რაც 2-ჯერ და მეტჯერ აღემატება ქვეყნების სხვა ჯგუფების მაჩვენებლებს). თუ ვნახავთ, მთელ სამუშაო ძალაში რამდენია მათი წილი, ვისაც შესაბამისი დონის მაღალი ან საბაზო განათლება აქვს, აღმოვაჩენთ, რომ რუსეთი ორივე კომპონენტში ჩამორჩება ევროკავშირისა და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს. ამასთან, თუ „ტვინების გადინების" ფაქტორს გავითვალისწინებთ, რაც კიდევ უფრო სერიოზული გახდა 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთი განათლებაზე გამოყოფილი ფულის ნაწილით სხვა ქვეყნების პოტენციურ მუშახელს ზრდის.

„ტვინების გადინებასთან" დაკავშირებით კრასტევი და ჰოლმსი წერენ: „ცენტრალური ევროპის არალიბერალური შებრუნება ღრმად არის ფესვგადგმული რეგიონიდან განსაკუთრებით ახალგაზრდების მასობრივ წასვლაში და იმ დემოგრაფიულ შფოთვაში, რომელიც ამ ემიგრაციამ დატოვა. ...1989-იდან 2017 წლამდე ლატვიამ თავისი მოსახლეობის 27% დაკარგა; ლიტვამ – 22,5%; ბულგარეთმა – თითქმის 21%. ორი მილიონი აღმოსავლეთ გერმანელი, ანუ ქვეყნის 1989 წლამდე მცხოვრებთა თითქმის 14%, სამუშაოსა და უკეთესი ცხოვრების საძიებლად დასავლეთ გერმანიაში გადავიდა. ...დაახლოებით 3,4 მილიონმა ადამიანმა დატოვა რუმინეთი 2007 წლის შემდეგ ათწლეულში – ეს რიცხვები ჩვეულებრივ ასოცირდება ომთან ან სხვა კატასტროფებთან. გარდა ამისა, ამ რუმინელების სამი მეოთხედი 35 წლის ან უფრო ახალგაზრდა იყო, როცა წავიდნენ" (Krastev and Holmes 2018, 82).

ამ არგუმენტის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უკრაინასთან ამ მასშტაბის ომისა (რომელიც 2014 წლიდან მიმდინარეობს) და საერთაშორისო სანქციების ეფექტი იქნება არა მხოლოდ ეკონომიკის შემცირება და „ტვინების გადინება", არამედ ამის თანმდევი ტენდენცია, რაც ისედაც არალიბერალური რეჟიმის კიდევ უფრო გაუარესებას შეუწყობს ხელს.

როგორც ვნახეთ, ფენგი და ზაკი მიუთითებენ, რომ დემოკრატიზაციისთვის მნიშვნელოვანია, შემოსავლების უთანასწორობა რაც შეიძლება დაბალი იყოს (რაც ეხმიანება ლიპსეტის „ალმასის ანალოგიას" – იხ. ზემოთ). 2007 წლიდან 2020 წლამდე რუსეთში ჯინის კოეფიციენტი 6 პროცენტული პუნქტით – 42%-იდან 36%-მდე შემცირდა, რაც პოზიტიური მოვლენა იყო. მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნის პირობებში თუ ჯინის კოეფიციენტი გაუარესდა, ეს კიდევ ერთი დამატებითი ნეგატიური ფაქტორი იქნება იმის საილუსტრაციოდ, რომ ომში დამარცხებულ რუსეთში შეიძლება ცვლილებებისაკენ ბიძგი იყოს, მაგრამ არა დემოკრატიზაციის მიმართულებით; დემოკრატიზაციის მიმართულებითაც რომ წავიდეს პროცესი, გაჭირდება წარმატებული ტრანზიცია ერთ სულზე შემოსავლის კლების (რომელიც ისედაც ვერ წვდება „არგენტინის თამასას"), „ტვინების გადინებისა" და ჯინის კოეფიციენტის გაუარესების გათვალისწინებით.

რუსეთში სოციალური ფონი რომ გავითვალისწინოთ, შევხედოთ ჯანდაცვის რამდენიმე მაჩვენებელს. რუსეთი მშპ-ს უფრო დიდ წილს შეიარაღებულ ძალებზე ხარჯავს, ვიდრე ჯანდაცვაზე (3.6% და 3.1%), მაშინ, როდესაც ევროკავშირის საშუალო შეფარდება 7:1-ზეა (7% და 1%). რუსეთში მოსახლეობის 22%-ს კატასტროფული დანახარჯის რისკი აქვს, თუ ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა; საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნების საშუალო მაჩვენებელიც კი მხოლოდ 10%-მდეა, რომ არაფერი ვთქვათ მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ან ევროკავშირის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებზე. რუსეთში ეს მაჩვენებელი 2008 წლის შემდეგ აღარ შემცირებულა.

შედეგად, 2019 წლის მონაცემებით, რუსეთში მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას 68.2 წელია მხოლოდ და მისი მაჩვენებელი 5.1 წლით ჩამორჩება საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნების საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს. რუსეთში მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი უკავშირდება მამაკაცებს შორის მაღალ სიკვდილიანობას, მათ შორის, იმ მიზეზების გამო, რაც ამ სამ გრაფიკზეა:







65 წლის ასაკამდე მიღწევის შანსი ქალების კოჰორტის 84.1%-ს აქვს რუსეთში და 87.2%-ს საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებში (მაღალი შემოსავლისა და ევროკავშირის ქვეყნებში ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო დიდია). კაცებში ეს ჩამორჩენა 17 (!) წელია, ანუ 65 წლის ასაკამდე მიღწევის შანსი კაცების კოჰორტის 61.1%-ს აქვს რუსეთში და 78.8%-ს – საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებში. რუსეთს აქვს ინფექციური დაავადებების მაღალი ინციდენტობა, ხოლო 100,000 კაცზე განზრახ მკვლელობების რაოდენობა (12) ორჯერ მეტია საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე და 7-ჯერ მეტი, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში.

წლებია, რუსეთს მოსახლეობის კლება აქვს, რაც ჩანს ამ გრაფიკებზე:





დასკვნა

დემოკრატიზაციის თეორეტიკოსებში არაა ერთსულოვნება იმასთან დაკავშირებით, რა ფაქტორებია გადამწყვეტი, რომ ქვეყანამ დემოკრატიული ტრანზიცია წარმატებით გაიაროს. თუ მივემხრობით არგუმენტს, რომ სოციო-ეკონომიკური ფაქტორები გადამწყვეტია, რუსეთს დღესაც კი, როდესაც უკრაინასთან ომისა და საერთაშორისო სანქციების ეკონომიკური შედეგი ჯერ სრული მასშტაბით არ დამდგარა, ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა აქვს: იგი „არგენტინის თამასის“ დაბლაა.

მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ომში დამარცხების გაფორმების (რაც იმას ნიშნავს, რომ თავად რუსეთში არის აღქმა, რომ რუსეთი დამარცხდა) მომენტისათვის რუსეთის ეკონომიკური მაჩვენებელი გაუარესდება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო სანქციების მოხსნა, რაც ასუსტებს რუსეთს ეკონომიკურად, პირდაპირ აღარაა მიბმული უკრაინის შეიარაღებული ძალების გასვლაზე 1991 წლის უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე და კიევის მიერ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დაბრუნებაზე; ანუ სანქციები, სავარაუდოდ, ამის შემდეგაც გაგრძელდება.

რაც შეეხება სოციალურ სფეროს, განათლებისა და, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სფეროს მაჩვენებლები მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთში ამ მხრივაც სუსტია დემოკრატიზაციის წარმატებული ტრანზიციისათვის ხელსაყრელი საძირკველი. თუ დამატებით სოციო-კულტურულ ფაქტორებს გავითვალისწინებთ (თუმცა ეს ამ სტატიის მიზანი არ ყოფილა), რუსეთის სამომავლო პროგნოზი კიდევ უფრო მძიმდება.

გამოყენებული ლიტერატურა

პატნემი, რობერტ. 2021. როგორ ვამუშაოთ დემოკრატია (სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში) მე-2 გამოცემა (მთარგ. ზ. ჭიაბერაშვილი. რედ. ზეინაბ სარაძე). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

Acemoglu, Daron and Robinson, James A. 2006. Economic Origins of Dictatorship and Democracy. Cambridge: Cambridge University Press

Feng, Yi and Zak, Paul J. The Determinants of Democratic Transitions. *The Journal of Conflict Resolution*, 43(2) The Democratic Transition Process: 162-177

Fink-Hafner, Danica and Hafner-Fink, Mitja. 2009. The Determinants of the Success of Transitions to Democracy.

EUROPE-ASIA STUDIES, 61 (9): 1603–1625

Inglehart, Ronald and Welzel, Christian. 2009. How Development Leads to Democracy: What We Know About Modernization. *Foreign Affairs*, 88 (2): 33-48.

Linz, Juan J. and Stepan, Alfred . 1996. *Problems of Democratic Transition and Consolidation – Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The Johns Hopkins University Press

Lipset, Seymour M. 1959. Some social requisites of democracy: economic development and political legitimacy. *American Political Science Review*, 53: 69-105

McFaul, Michael. 2018. Choosing Autocracy. *Comparative Politics*, 50 (3). Special Issue: Wither Russia? Twenty-Five Years After the Collapse of Communism: 305-325

McFaul, Michael. 2018. Is Putinism the Russian Norm or an Aberration?, *CURRENT HISTORY* 117(801): 251-257

Przeworski, Adam. 2004. Democracy and Economic Development. Eds. Edward D. Mansfield and Richard Sisson Political Science and the Public Interest. Columbus: Ohio State University Press

Kotkin, Stephen. 2016. Russia's Perpetual Geopolitics: Putin Returns to the Historical Pattern. *Foreign Affairs*. 95 (3)

Krastev, Ivan and Holmes, Stephen. 2018. The Light That Failed: Why the West Is Losing the Fight for Democracy. New York: Pegasus Books.